„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) – „დინამო“ (თბილისი) 3:0 (1:0)

თბილისისა და დნეპროპეტროვსკის ფეხბურთელები მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის I წრეში 19 ივნისს შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში. მაშინ გამარჯვება თბილისელებს ხვდათ წილად – 2:0.

„დნეპრი“ ამ პერიოდში სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებოდა და, საერთოდ, მტკიცე პოზიცია ეკავა ლიგის ლიდერთა შორის. გუნდი შემდგომშიც წარმატებით თამაშობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლო 2 ტურში მარცხი იწვნია მინსკსა და ვილნიუსში, მისი წამყვანი მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა. ამიტომაც თბილისის დინამოელებთან მატჩში „დნეპრი“ გამარჯვების მტკიცე განწყობით გამოვიდა მინდორზე.

ასეთივე განწყობით და მისწრაფებით უნდა გამოსულიყვნენ დნეპროპეტროვსკის „მეტეორის“ მინდორზე თბილისის დინამოელებიც, სხვა გზა მათ არ ჰქონდათ, ვინაიდან გუნდი კვლავ და კვლავ გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება.

მაგრამ ეს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა საკმაოდ იოლად მოიგეს, რისი ნათელი დადასტურებაა მთელი მატჩის მსვლელობა და საბოლოო ანგარიშიც – 3:0. „დნეპრმა“ დიდი ანგარიშით გამარჯვებისათვის პრიზისთვის ბრძოლაში ქულა შემატა თავის აქტივს. პირველივე წუთებიდან დაწყებული თამაში მიმდინარეობდა ნელა, აუჩქარებლად, მასპინძლებს არც დასჭირვებიათ საგანგებო ზომებისთვის მიემართათ, ვინაიდან მატჩის ისინი სურვილის მიხედვით წარმართავდნენ, „დნეპრმა“ დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა ზედმეტი, „ექსტრააქტიურობის“ გარეშეც. რაც შეეხება დინამოელებს, მათ რეალური ვერაფერი შესთავაზეს მეტოქეს, თითქმის მთელი გუნდი ინერტულად გამოიყურებოდა, რაც დრო გადიოდა, იგი სულ უფრო და უფრო თმობდა, მას შემდეგ კი, რაც დნეპროპეტროვსკელებმა ანგარიში 3:0-მდე აიყვანეს, თბილისელებმა საერთოდ ხელი ჩაიქნიეს ბრძოლაზე და ნაადრევად შეურიგდნენ დამარცხებას. შესაძლოა, გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ გაბელია, გოგიჩაიშვილი და ზოგიერთი სხვა, მაგრამ დინამოელთა ერთიანი კოლექტივი – გამარჯვების სურვილით გამსჭვალული, შეკავშირებული და მონდომებული მებრძოლი გუნდი – არ ჩანდა, ერთი სიტყვით, თბილისის დინამოელებმა, სამწუხაროდ, მიმდინარე გათამაშებაში კიდევ ერთხელ დათმეს უსახელოდ და თავჩაქინდრულები გავიდნენ მინდვრიდან.

და ეს ხდება იმ ვითარებაში, როცა თითოეული ჩვენი ფეხბურთელი უკიდურესად მობილიზებული და ბრძოლის წყურვილით აღვსილი უნდა გამოდიოდეს მინდორზე. დღეს ეს მთელ ერს ესაჭიროება, ჩვენ ყველას გვაწუხებს საქართველოს პირველი გუნდის ბედ-იღბალი, გვაწუხებს მისი აწმყო და მომავალი, მაგრამ გამოდის, რომ ჩვენს სურვილებსა და წუხილს ტრიბუნებს იქით გზა არა აქვს, უშუალოდ დინამოელი ფეხბურთელები არ არიან განწყობილი საბრძოლველად და თავიანთი მაღალი პრესტიჟის დასაცავად თითოეული ასეთი დამარცხება შავ ლაქად ემჩნევა ჩვენს გუნდს, თბილისის „დინამოს“ კი ეს არამც და არამც არ ეკადრება. წაგებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ თავგამოდებული ბრძოლა და მაქსიმალური მონდომების გამოჩენა საჭიროა ყოველთვის, ყველგან და ყოველგვარ ვითარებაში.

„დნეპრთან“ წაგებული მატჩი დიდ სინანულს იწვევს, იგი გაკვეთილად უნდა იქცეს უპირველეს ყოვლისა თვით ჩვენი ფეხბურთელებისათვის.

პირველი ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა შახოვმა. შესვენების შემდეგ დინამოელებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ კოლექტივში არ აღმოჩნდა წამყვანი ძალა, რომელიც აიყოლიებდა თანაგუნდელებს, გუნდმა უხალისოდ დაწყებული თამაში უხალისოდვე დაამთავრა და დიდი ანგარიშით მარცხიც განიცადა. მეორე ბურთი 68-ე წუთზე გაიტანა ბაგმუტმა, 78-ე წუთზე კი ანგარიში „დაამრგვალა“ კუდრიცკიმ – 3:0.

მეტოქეთა შემადგენლობანი:

„დნეპრი“ – გოროდოვი, იუდინი, ვიშნევსკი, იაროვენკო, ტიშჩენკო, კუდრიცკი, ბაგმუტი, ჩერედნიკი, შოხი, ლიუტი, შახოვი. შემცვლელებად გამოვიდნენ სონი და ბუჩკოვი;

„დინამო“ – გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, ჩიქოვანი, სვანაძე, ცვეიბა, თეთრაძე, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი. შემცვლელებად გამოვიდნენ დარასელია და ფანცულაია.

მსაჯი ი. გურმანი (დუშანბე).

დუბლიორები – 2:1 „დნეპრის“ სასარგებლოდ.

“ლელო” 2 აგვისტო, 1989